სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

30.04.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

შესყიდვების საერთაშორისო ფორუმი ფილიპინებში

აპრილის ბოლოს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში გაიმართა ყოველწლიური ფორუმი „Global Procurement Event“, რომელშიც ქვეყნის დელეგატის სტატუსით მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე კახა დემეტრაშვილი. ღონისძიებას 25 ქვეყნის 150-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა.

პლენარულ სხდომაზე კახა დემეტრაშვილმა თავის მოხსენებაში ვრცლად ისაუბრა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის წარმატებულ რეფორმაზე, მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე. ვიზიტის ფარგლებში კახა დემეტრაშვილი შეხვდა და ორმხრივი მოლაპარაკებები გამართა რამდენიმე ქვეყნის კოლეგა უწყებების მაღალი რანგის ხელმძღვანელებთან, მათ შორის: ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, კანადის, ჩინეთის, პორტუგალიის, მოროკოს, ზამბიის, სენეგალის, კენიის, ჩილეს, კოლუმბიისა და ფილიპინების. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), მსოფლიო ბანკის (World Bank), აზიის განვითარების ბანკის (ADB), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო ბანკის მაღალი რანგის თანამდებობის პირთან რობერტ ჰუნჯასთან (World Bank Group; Governance, Director, Public Integrity and Openness Governance Global Practice) ორმხრივი მოლაპარაკება. შეხვედრის დროს, რობერტ ჰუნჯამ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ქვეყნის შესყიდვების სისტემას და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა აწესებს ახალ სტანდარტებს მსოფლიოში.